საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 2108 2019 წლის 3 ოქტომბერი ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა (საქსტატი) და გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF) შორის დასადები საგრანტო ხელშეკრულების თაობაზე

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების საფუძველზე, მოწონებულ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურსა (საქსტატი) და გაეროს ბავშვთა ფონდს (UNICEF) შორის დასადები საგრანტო ხელშეკრულება. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატს) მიეცეს უფლებამოსილება, განახორციელოს პერსონალურ მონაცემთა დამუშავება (გამოთხოვა და გამოყენება), საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მიზნით და ფარგლებში.

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულმა საჯარო სამართლის

იურიდიულმა პირმა – სოციალური მომსახურების სააგენტომ მიაწოდოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატს) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულების შესრულებისათვის საჭირო პერსონალური მონაცემები, მხარეთა შორის შეთანხმებული ფორმატით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**